შპს “TMD“

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

შპს “TMD“

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშება

სრული შემოსავლის ანგარიშგება 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....5

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....8
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....9
3. შემოსავალი.....15
4. მოგების გადასახადით დაბეგვრა.....15
5. ძირითადი საშუალებები.....16
6. ფული და ფულის ექვივალენტი.....17
7. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა.....18
8. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან.....20
9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....20

შპს “TMD“

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	**Note**	**31-12-21**		**31-12-20**
ამონაგები	10	9,227,290		4,815,351
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	9	(7,159,102)		(3,444,400)
საერთო მოგება		**2,068,188**		**1,370,951**
სხვა შემოსავლები	11	5,294		1,361,211
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,038,949)		(653,827)
მიწოდების დანახარჯები	7	(740,749)		(50,276)
სხვა შემოსულობები/(მოგება) - წმინდა	12	10,780		139,104
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	12	(49,655)		(178,673)
სხვა ხარჯები	14	(23,549)		(23,717)
საოპერაციო მოგება		**231,361**		**1,964,773**
ფინანსური შემოსავალი		3,600		9,464
ფინანსური ხარჯი				
ფინანსური ხარჯი - წმინდა		3,600		9,464
მოგება დაბეგვრამდე		**234,961**		**1,974,236**
მოგების გადასახადი	13	(35,244)		(296,135)
პერიოდის მოგება		**199,717**		**1,678,101**
სხვა სრული შემოსავალი:				
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	14	**199,717**		**1,678,101**

შპს “TMD“

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	**31-12-21**		**31-12-20**
აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	1,785,656		1,493,943
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4			
მარაგები	5	1,582,394		1,324,250
ძირითადი საშუალებები	6	17,506		23,393
		3,385,556		**2,841,586**
ვალებულებები				
მოკლევადიანი სესხები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	2,122,237		1,735,856
საგადასახადო ვალდებულებები	8	145,079		117,786
		2,267,316		**1,853,642**
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	9	1,118,239		987,944
		1,118,239		**987,944**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		**3,385,555**		**2,841,586**

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	გაუნაწილებელი მოგება	კაპიტალის გაზრდა	გაცემული დივიდენდი	კაპიტალის შემცირება	მთლიანი კაპიტალი
		Profit for the year	Other comprehensive income for the year		Dividend paid		
		882,618	611,028		763,824		729,822
2017 წლის 31 დეკემბერი	**-**	**882,618**	**611,028**		**763,824**	**-**	**729,822**
		729,822	582,994		537,809		775,007
2018 წლის 31 დეკემბერი	**-**	**729,822**	**582,994**	**-**	**537,809**	**-**	**776,172**
		776,172	437,061		947,442		265,790
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**776,172**	**437,061**	**-**	**947,442**	**-**	**265,790**
		265,790	1,678,101		955,948		987,944
2020 წლის 31 დეკემბერი	**-**	**265,790**	**1,678,101**	**-**	**955,948**	**-**	**987,944**
		987,944	199,717		69,423	736	1,117,502
2021 წლის 31 დეკემბერი	**-**	**987,944**	**199,717**	**-**	**69,423**	**736**	**1,117,502**

შპს “TMD“

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	Note	31-12-21		31-12-20
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
წმინდა მოგება	14	**199,717**		**1,678,101**
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		**86,961**		**347,893**
- გადასახადები	13	35,244		296,135
- ცვეთა		12,842		12,189
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	12	38,875		39,569
- წმინდა ფინანსური ხარჯი				
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი				
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		**155,530**		**(11,090)**
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	-		776,668
- მარაგები	5	(258,143)		(727,531)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	386,381		(193,841)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	8	27,293		133,615
- გადავადებული შემოსავალი				
- ანარიცხები				
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		**442,207**		**2,014,904**
- მიღებული პროცენტი				
- გადახდილი პროცენტები				
- გადახდილი მოგების გადასახადი	13	(35,244)		(296,135)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**406,963**		**1,718,769**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
- ძირითადი საშუალებების შეძენა	6	5,888		6,290
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		(12,842)		

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(6,954)**		**6,290**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)				
- გადახდილი დივიდენდები		(69,423)		(955,948)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**(69,423)**		**(955,948)**
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)		**330,586**		**769,111**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი		1,493,943		768,813
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		(38,873)		(43,980)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		**1,785,657**		**1,493,943**

დირექტორი: თეკლა გვანცელაძე

მთავარი ბუღალტერი: ნინო შარიქაძე

შპს "TMD"

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(6,954)**		**6,290**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)				
- გადახდილი დივიდენდები				
		(69,423)		(955,948)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**(69,423)**		**(955,948)**
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)		**330,586**		**769,111**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი		1,493,943		768,813
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		(38,873)		(43,980)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		**1,785,657**		**1,493,943**

დირექტორი: თეკლა გვანცელაძე

მთავარი ბუღალტერი: ნინო შარიქაძე

შპს “TMD“

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „TMD” დაარსდა 2011 წლის 14 ივნისს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საიდენტიფიკაციო კოდი: 404901086).

TMD საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო აპარატურის გაყიდვა და მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ.80, ბლოკი N5, საოფისე ფართი 3.კომპანიის

ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გ.კარტოზიას ქ. 8, კორპუსი 4, სადარბაზო 1, საოფისე ფართი 3.

2018 წლის 10 იანვრამდე კომპანიის წილის მფლობელებს წარმოადგენდნენ:

მესაკუთრეები:	წილი
ვიქტორია ქევენა - ID 488177072	80%
თეკლა გვანცელაძე - ID 60001041463	10%
მარიამ კავთუაშვილი - ID 01017020268	10%

2021 წლიდან კომპანიის წილის მფლობელებს წარმოადგენენ:

მესაკუთრეები:	წილი
ვიქტორია ქევენა - ID 488177072	49%
თეკლა გვანცელაძე - დირექტორი ID 60001041463	29.50%
მარიამ კავთუაშვილი - ID 01017020268	19.50%
კონსტანტინე გაჯევსკი, 67070715052, ET4956962	2%

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

2.მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ დამტკიცებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგრიშგების საერთაშორსო სტანდარტების (მსს ფასს-ის) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვი.

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.
ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენლია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან“ წმინდა სიდიდით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	დოლარი	ევრო
კურსი 31.12.2021	3.0976	3.5040
კურსი 31.12.2020	3.2766	4.0233

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.
პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების

მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენ პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც
დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.
ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალაურად.
ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
კომპიტერული ტექნიკა	5
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	5
სხვა	5

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.
მარაგების რეალური ღირებულების განსაზღვრა, გაუფასურების ტესტის ჩტარების საფუძველზე.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნებს გაუფასურებაზე. მთავარი ფაქტორი, რომლის საფუძველზეც კომაპნია ადგენს ფინანსური აქტივის გაუფასურებას, არის ვადაგადაცილება და დებიტორების საკრედიტო რეიტინგის გაუარესება.
გაუფასურების ოდენობა გამოითვლება რისკის მატარებელი აქტივების ანალიზით და ასახავს თანხის იმ მოცულობას, რაც მენეჯმენტის აზრით საკმარისია შესაბამისი დანაკარგების დასაფარად. კომპანია ანარიცხებს ქმნის რისკის მატარებელი აქტივების შეფასების საფუძველზე. იმის მიხედვით, არსებითია თუ არა, აღნიშნული ფინანსური აქტივები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

3 . შემოსავალი

შემოსავლები 2021 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	9 227 290
სხვა შემოსავლები	5 294
სულ:	**9 232 584**

4.მოგების გადასახადის სარგებელი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.
მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს მიღებული მოგების რეინვესტირებას არსებულ ან ახალ საქმიანობაში. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. ტექნიკურად დასაბეგრი ობიექტის დაბეგვრა მოხდება 15%/85% განაკვეთით მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.
მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები .

5.ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი	სხვა	სულ აქტივები
31.12.2018	10,208	29,996	40,204
შემოსვლა	5,367	24,534	29,901
გასვლა	-	(8,048)	(8,048)
აკუმულირებული ცვეთა	(4,173)	(15,787)	(19,960)
მიმდინარე პერიოდის ცვეთა	(3,115)	(9,299)	(12,414)
31.12.2019 წმინდა საბალანსო ღირებულება	15,575	46,482	62,057
შემოსვლა	2,449	3,450	5,899
გასვლა			
აკუმულირებული ცვეთა	(7,288)	(25,086)	(32,374)
მიმდინარე პერიოდის ცვეთა	(2,939)	(9,250)	(12,189)
31.12.2020 წმინდა საბალანსო ღირებულება	7,797	15,596	23,393
შემოსვლა	5,894	1,060	6,954
გასვლა			
აკუმულირებული ცვეთა	(10,227)	(34,336)	(44,563)
მიმდინარე პერიოდის ცვეთა	(4,051)	(8,791)	(12,842)
31.12.2021 წმინდა საბალანსო ღირებულება	9,640	7,865	17,505

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	**31.12.2020**
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში:	389 490	50 480
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში:	1 396 166	1 443 462
სულ:	**1 785 656**	**1 493 943**

7. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს.
კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტურმენტები, საიდანაც შესაძლებელია წარმოიშვას რისკები არის შემდეგი:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- სესხები
- სხვა ვალდებულებები

ძირითადი ფინანასური ინსტრუმენტები 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2021
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები:	1,493,943	1,785,656
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები:		
სულ ფინანსური აქტივები:	**1,493,943**	**1,785,656**
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულები:	1,738,266	2,122,237
სესხები:		
სულ ფინანსური ვალდებულებები:	**1,738,266**	**2,122,237**

კომპანიას არ გააჩნია რისკის მართვის წერილობითი პოლიტიკა. თუმცა, უმაღლესი მენეჯმენტი ახორციელებს რისკების კონტროლს და მიზნად ისახავს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც შეამცირებს კომპანიის რისკებს და დაიცავს ჯგუფის კონკურენტუნარიანობას და მოქნილობას რისკების უარყოფითი ეფექტისგან.
საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით არ გააჩნია.
კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. კომპანიას აღნიშნულ საანგარიშგებო პერიოდში გაუფასურებული მოთხოვნების რეზერვები არ შეუქმნია.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომაპნიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი ნაკადების მოძრაობა.
ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.
კომაპნია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

8. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.
კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არსებითი ღირებულების ოპერაციები არ გააჩნია.

9.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენს კომპანიის საქმიანობაზე და მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

დირექტორი: თეკლა გვანცელაძე

მთავარი ბუღალტერი: ნინო შარიქაძე

შპს "TMD"

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
(ლარში)

8. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.
კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არსებითი ღირებულების ოპერაციები არ გააჩნია.

9.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენს კომპანიის საქმიანობაზე და მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

დირექტორი: თეკლა გვანცელაძე

მთავარი ბუღალტერი: ნინო შარიქაძე